

ბაბა ნახუსიოზილი

ზვანს ნავლი  
/თონატხა/



ზაფხულის ხვატი იდგა. აგვისტო მთავრდებოდა და ზღვიდან ახალი დაბრუნებულები ვიყავით. პაპაჩემი აივანზე იჯდა, თავის საყვარელ, გაცრეცილ სავარძელში და ჩიბუხს აბოლებდა. რაღაც ახალი საუკუნე იწყებოდა, უცნაური, თურმე გლობალური ომების გარეშე, ყალბი ერთობითა და სიძულვილით გაჯერებული. პაპაჩემი კი მშვიდად გადაჰყურებდა დასიცხულ ქალაქს, თითქოს ეს ყველაფერი უკვე ენახა და აღარ აღელვებდა.

-ყველაზე ლამაზი ხედი ზღვაზე, მაინც ნაპოლიდან არი. მინაზე კი მყინვარწვერიდან.

-იყავი პაპა ნაპოლიში?!

-ვერ მოვახერხე, -ჩაფიქრდა და კვამლს მიაჩერდა.

-აბა, საიდან იცი? -ვკითხე და პასუხსაც აღარ დაველოდე, - იყავი?!

-მამაჩემმა იცოდა.

-ნამყოფი იყო?

-არა, პაპა. უნდოდა რომ ყოფილიყო.

-რატომ ვერ წავიდა?

-მყინვარწვერზე ასვლაც ვერ მოასწრო...

-რატომ, რატომ? -ვუთხარი და ზღვიდან ჩამოტანილი თუთუნის შეკვრა პერანგის ჯიბეში ჩავუგდე.

გაელიმა და ჩამიხუტა.

-მიყვარს ჩვენი ზღვის თუთუნი.

-რატომ ვერ ავიდა დიდი პაპა მყინვარწვერზე?

-ომი იყო და მტერთან ბრძოლაში ახალგაზრდა დაიღუპა. მამამისი ყოფი-  
ლა ნაპოლიში, ბევრ რამეს მოსწრებია, მერე წითლები შემოსულან და...

-და რა?

-მერე მყინვარზე ასულა.

-მყინვარიდან ზღვა ჩანს?

-აი, რომ ახვალ, ნახავ.

-კიდევ წითლები მოდიან?

-არა, პაპა, ღმერთმა დაგვიფაროს.

ღამდებოდა. ფანჯრებში შუქი ინთებოდა. უსახური, ჩაბეტონებული ქალაქი სიბნელეში ლამაზდებოდა, რადგან ურბანული შუქი უსახურობას შთანთქავდა.

...

მალე პაპაც ნავიდა. დამშვიდობება ვერ მოვასწარი და ვნანობდი. თუთუნის კვამლიც გაქრა აივნიდან. მითხრეს, რომ სადღაც ევროპაშია, ნაპოლის ყურეში, ნაპოლიდან ხომ ზღვა ყველაზე ლამაზად ჩანს. თურმე იქაც ცხოვრობენ კეთილი ადამიანები და პაპაჩემიც სთხოვს, რომ ერთად, ბედნიერად ვიცხოვროთ ყველამ. მათ კი არ სჯერათ, ფრთხილობენ, მეოცნებე ჰგონიათ. პრაგმატული დროა, მერკანტილური, ეს ორი სიტყვაც ვერაფრით ავითვისე. ორივე მეუცხოება და მეუშნოება.

აბაზანას ვავსებდი და პლასტმასის გემებს ვყრიდი. ნაპოლის ყურესკენ მინდოდა გალაშქრება. საომრად კი არა, პაპაჩემის და იმ კეთილი ხალხის მოსანახულებლად, ვინც ეს უცნაური მოხუცი შეიყვარა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაუგო რა უნდოდა.

...

გავიზარდე და მყინვარწვერის გზას მივუყვები...

ერთხელ უნდა ახვიდე მყინვარზე და უნდა გჯეროდეს, რომ იქიდან ზღვა სხვანაირად მოსჩანს.